



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერი



ბრძანება:ბ72.72220483

თარიღი:17/02/2022

ჭიათურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლების საერთო კრებების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების ინიცირების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ და „ე.ი“ ქვეპუნქტების, 853 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „თ“ ქვეპუნქტების, 854 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-13 და მე-15 პუნქტების, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების პირველი მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-7 პუნქტის და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 8 თებერვლის № 64 დადგენილების და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის № 277 განკარგულების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტის შერჩევის მიზნით დასახლებებში, რომლებშიც რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 500 ამომრჩეველს, მოწვეულ იქნას დასახლებების საერთო კრებები, ხოლო დასახლებებში, რომლებშიც რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს 500-ზე მეტ ამომრჩეველს, გაიმართოს ამომრჩევლებთან კონსულტაციები №1 დანართით განსაზღვრულ თარიღებში.

2. მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, ინფრასტრუქტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახურს და მერიის წარმომადგენლებს ადმინისტრაციულ ერთეულებში დაევალოთ მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება და მათი კონსულტირება საპროექტო წინადადების შემუშავების პროცესში.

3. თითოეული დასახლებაში განსახორციელებელი პროექტისთვის ზღვრული საორიენტაციო თანხის ოდენობა განისაზღვროს №1 დანართის მიხედვით.

4. მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება განხორციელდეს მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, ინფრასტრუქტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახურსა და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერიის წარმომადგენლობებში ყოველდღე, 09-დან 18 საათამდე, 2022 წლის 02 მარტის ჩათვლით.

5. დასახლებების საერთო კრებების სხდომების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების დღის წესრიგი განისაზღვროს ერთი საკითხით: დასახლებაში განსახორციელებელი საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტ(ებ)ის შერჩევა.

6. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის საკითხებზე მოსახლეობასთან ურთიერთობაზე და საპროექტო წინადადებების მიღებაზე უფლებამოსილ პირებად განისაზღვრონ:

- ა) ლაშა გოცაძე, მობილურის N 551 70 80 04, ელ.ფოსტა: lasha.gotsadze@chiatura.gov.ge
- ბ) დავითი შეყილაძე, მობილურის N 551936332, ელ.ფოსტა: daviti.shekiladze@chiatura.gov.ge
- გ) ტარიელ ჩუბინიძე, მობილურის N 591 04 78 04, ელ.ფოსტა: tariel.chubinidze@chiatura.gov.ge
- დ) ირაკლი აბესაძე, მობილურის N 555 11 21 89, ელ.ფოსტა: irakli.abesadze@chiatura.gov.ge
- ე) იმედა ხვედელიძე, მობილურის N 577 01 78 13, ელ.ფოსტა: imeda.khvedelidze@chiatura.gov.ge
- ვ) გიორგი ჩიტაძე, მობილურის N 599 43 44 53, ელ.ფოსტა: giorgi.chitidze@chiatura.gov.ge
- ზ) დავით წერეთელი, მობილურის N 557 63 56 60, ელ.ფოსტა: davit.tsereteli@chiatura.gov.ge
- თ) როლანდ მოცრაძე, მობილურის N 577 01 78 16, ელ.ფოსტა: rolandi.motsradze@chiatura.gov.ge
- ი) მანანა პაპიძე, მობილურის N 598 32 95 35, ელ.ფოსტა: manana.papidze@chiatura.gov.ge
- კ) ჯაბა ჯაჯანიძე, მობილურის N 595 80 60 83, ელ.ფოსტა: jaba.jajanidze@chiatura.gov.ge
- ლ) დავით ხოჯანაშვილი, მობილურის 577 01 78 18, ელ.ფოსტა: davit.khojanashvili@chiatura.gov.ge
- მ) შალვა თაბაგარი, მობილურის N 577 01 74 40 , ელ.ფოსტა: shalva.tabagari@chiatura.gov.ge
- ნ) ბესიკ ჭიგლაძე, მობილურის N 551 11 63 78 , ელ.ფოსტა: besik.chigladze@chiatura.gov.ge
- ო) იოსებ ნოზაძე, მობილურის N 577 01 74 93, ელ.ფოსტა: i.nozadze@chiatura.gov.ge
- პ) გორა ბიწაძე, მობილურის N 599 29 17 01, ელ.ფოსტა: gocha.bitsadze@chiatura.gov.ge
- ჟ) არჩილ ჯაფარიძე, მობილურის N 595 41 16 16, ელ.ფოსტა: a.japaridze@chiatura.gov.ge

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჩხერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. საჩხერე, დ. აღმაშენებლის ქუჩა №3) დაინტერესებული მხარის მიერ ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გივი მოდებაძე

ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

